

.....

სამოქალაქო საზოგადოება პოსტკომუნისტურ ეპოქაში

.....

მაკა მოჩე ჰოვაკი

პოსტკომუნისტური ევროპა სამოქალაქო საზოგადოების მკვლევართათვის ღრმა ირონიის საგანია. ერთი მხრივ, რეგიონი თავად ტერმინის „სამოქალაქო საზოგადოება“ გამოცოცხლების წყაროა. მართლაც, რომ არ ყოფილიყო „სოლიდაროსტი“, პოლონეთის ოპოზიციური მოძრაობა, რომელმაც ათი მილიონი ადამიანის მობილიზება შეძლო და შემდგომი „სახალხო რევოლუციები“ მთელ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ნაწილში, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინს, სამოქალაქო საზოგადოება, მეცნიერები ან პოლიტიკოსები ასე ფართოდ არ გამოიყენებდნენ. მეორე მხრივ, პოსტკომუნისტური ევროპა დემოკრატიული სამყაროს ის ტერიტორიაა, სადაც თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებით სუსტია. თუ უფრო კარგად დავაკვირდებით რეგიონს, გამოჩნდება, რომ „რევოლუციური“ მომენტის გავლის შემდეგ ადამიანებმა მალევე მიატოვეს ქუჩები და სამოქალაქო ორგანიზაციები და საკუთარი საზოგადოება მეტწილად პასიურ და დეპოლიტიზირებულ მდგომარეობაში დატოვეს.

მართალია, ისტორიული პრეცედენტები მნიშვნელოვანია სოციალურ ფენომენტა უმეტესობის გასაგებად, მაგრამ ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა პოსტკომუნისტურ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების გასააზრებლად. უბრალოდ კომუნისტური წარსულის პოსტკომუნისტურ ანმყოსთან კომბინაციის შესწავლის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ, თუ რატომ მონაწილეობს ასე ცოტა პოსტკომუნისტური ქვეყნის მოქალაქე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ თავში გამოყენებულია ისტორიული მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ პოსტკომუნისტურ რეგიონში, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა კომუნისტური სოციალური მემკვიდრეობის ადაპტირება და შენარჩუნება და როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო მისი გამყარება პოსტკომუნისტური მოვლენებისა და გამოცდილების მეშვეობით. ამ თავში ასევე განხილულია მთელ რეგიონში არსებული სულ უფრო მზარდი განსხვავებები იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დემოკრატიულია და რომლებიც მზარდად ავტორიტარულია; ასევე იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც შეუერთდა ევროკავშირს და რომლებიც რჩება მის გარეთ. შემდგომ, ამ თავში წამოჭრილია შეკითხვების ფართო სპექტრი სამოქალაქო

საზოგადოების ცნების არადემოკრატიული ქვეყნებისა და კონტექსტისთვის მისადაგების შესახებ. წარმოდგენილია არგუმენტი, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული კომუნიკური და პოსტკომუნიკური გამოცდილება მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების ტიპების გამიჯვნის აუცილებლობაზე, კერძოდ კი – მისი „ოპოზიციური“ და „დემოკრატიული“ ფორმებისა. სხვა შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა კომუნიკური ეპოქის ბოლო პერიოდში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ასე სწრაფად გავრცელება დემოკრატიზაციის დაწყებისთანავე. დაბოლოს, ეს თავი სრულდება რეგიონში დემოკრატიზაციაზე პოსტკომუნიკური სამოქალაქო საზოგადოების სუსტი გავლენის შეფასებით. სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე, ცხადია, არ მოასწავებს დემოკრატიის დასასრულს, მაგრამ მიუთითებს, რომ პოსტკომუნიკური დემოკრატია უახლოეს მომავალშიც არასტაბილური და პრობლემური იქნება.

1. პოსტკომუნიკური სამოქალაქო საზოგადოება შედარებით თვალსაზრისით

ნებისმიერ მოცემულ რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერისა და ხარისხის შესაფასებლად, სასარგებლოა, გადამწყვეტი თუ არა, უფრო ფართო შედარებითი პერსპექტივით დავიწყოთ. ნაშრომში „სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე პოსტკომუნიკურ ევროპაში“ (Howard 2003), წარმოვადგენ ემპირიულ საბაზისო საფუძველს, რომელიც გვიჩვენებს, რომ პოსტკომუნიკური სივრცის მოქალაქეთა შორის მოხალისეობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების წევრობისა და მონაწილეობის უკიდურესად დაბალი დონეა. უფრო მეტიც, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან და რეჟიმების ტიპებთან შედარებით, განსხვავებები პოსტკომუნიკურ ქვეყნებს შორის შედარებით მცირეა. პოსტკომუნიკურ ევროპაში ორგანიზაციების წევრობის დონეების მსგავსება განსაკუთრებით უცნაურია ამ ქვეყნებს შორის არსებული ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სხვაობების ფონზე.

სამოქალაქო საზოგადოების ტრანსნაციონალური გაზომვის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყურადღებას ცნების, კერძოდ კი ორგანიზაციული წევრობის, კონცეპტუალიზაციაზე და მის ვიწრო განსაზღვრებაზე ამახვილებს. მაშინ როდესაც, ამ მიდგომას, შესაძლოა, კონკრეტული შემთხვევების შესწავლა დაემატოს, რომლებიც უფრო მეტად ჩადის სიღრმეებში, ფართო მიდგომას მაინც მნიშვნელოვანი შედარებითი დასკვნები მოაქვს. მაგალითად, ოცდათერთმეტი დემოკრატიული და დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის ანალიზი, რომლებიც 1995-97 წლების მსოფლიო ღირებულებების კვლევაშია (World Values Survey (WVS) შეტანილი, გვიჩვენებს, რომ პოსტკომუნიკურ ქვეყნებს წევრობისა და მონაწილეობის მნიშვნელოვნად დაბალი დონე აქვთ, ვიდრე სხვა დემოკრატიულ და პოსტავტორიტარულ ქვეყნებს; და რომ ეს დონეები რეალურად კიდევ უფრო დაეცა 1990-91 წლებიდან 1995-97 წლებამდე პერიოდში (Howard 2003, 62-73). სინამდვილეში, მსოფლიო ღირებულებების კვლევა (WVS) გვიჩვენებს, რომ პოსტკომუნიკურ ქვეყნებში მოქალაქეების ორგანიზაციებში მიკუთვნებულობის მაჩვენებელი საშუალოდ არის 0.91 ორგანიზაცია ერთ ადამიანზე, რაც პოსტავტორიტარულ ქვეყნებში ერთ ადამიანზე ორგანიზაციის წევრობის მაჩვენებლის ზუსტად ნახევარია – 1.82 და ბევრად ნაკლები, უფრო ძველ დემოკრატიებში არსებულ მაჩვენებელზე – 2.39 (Howard 2003, 80). მეტიც, ორგანიზაციის წევრობა პოსტკომუნიკურ ევროპაში უფრო დაბალი იყო ვიდრე პოსტავტორიტარულ ქვეყნებში მსოფლიო ღირებულებების კვლევაში (WVS) შეტანილი ცხრა ორგანიზაციის ტიპიდან რვაში (გამონაკლისს წარმოადგენს შრომითი კავშირები, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაა კომუნიკურ და პოსტკომუნიკურ კონტექსტში).

შემდგომი გამოკითხვები და კვლევები არ ეწინააღმდეგება ამ ძირითად მოდეულს. მსოფლიო ღირებულებების კვლევის (WVS) შემდეგი ტალღის, რომელიც 1999-2003 წლებში ჩატარდა, ანალიზიც

ადასტურებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და სხვა რეგიონებსა თუ მანამდე არსებული რეჟიმების სხვა ტიპებს შორის იმავე მნიშვნელოვან განსხვავებას (Valkov 2009). ამასთანავე, უფრო მკაცრი რეგრესიული ანალიზი, რომელიც სხვა შესაძლო ცვლადებს აკვირდება – მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ და „ცივილიზაციურ“ ფაქტორებს, ასევე რამდენიმე ცვლადს ინდივიდუალურ დონეზე, რომლებიც მთავარ როლს თამაშობს პოლიტიკური მონაწილეების და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ლიტერატურაში – გვიჩვენებს, რომ ქვეყნის წინა რეჟიმის ტიპი (და განსაკუთრებით წინა კომუნისტური გამოცდილება) ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი მაჩვენებელია ორგანიზაციების წევრობის ასახსნელად (Howard 2003, 81–90). ეს შედეგები წინა კომუნისტური გამოცდილების სპეციფიკური ელემენტების უფრო სიღრმისეული გააზრების საჭიროებაზე მიუთითებს. ეს მნიშვნელოვანია იმის ასახსნელად, თუ რატომ აქვთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ორგანიზაციების წევრობის ბევრად დაბალი დონე, ვიდრე უფრო ძველ დემოკრატიებსა და პოსტავტორიტარულ ქვეყნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი სისუსტის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ კომუნისტური გამოცდილების და მისი ძლიერი მემკვიდრეობის საერთო ელემენტები.

2. კომუნისტური ინსტიტუციების გავლენის ანალიზი

ვიდრე თანამედროვე პერიოდს მივუბრუნდებოდეთ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ კომუნისტური ინსტიტუციონალური სისტემის ტრანსფორმაციული გავლენა, რომელსაც დიდი, გადამწყვეტი და ბევრი მხრივ ჰომოგენური ეფექტი ჰქონდა საზოგადოებებზე მთელს რეგიონში. კომუნისტური სისტემის დამყარებამდე – რუსეთში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ და აღმოსავლეთ ევროპაში კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში – რეგიონი შედგებოდა ძალიან განსხვავებული ქვეყნების ჯგუფისგან. განსხვავებული რელიგიური რწმენის ქონასთან, სხვადასხვა ისტორიულ იმპერიებში მიკუთვნებასა და ორივე მსოფლიო ომში სხვადასხვა მხარეს ბრძოლასთან ერთად, მათ ჰქონდათ ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების უკიდურესად განსხვავებული დონეები, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ტრადიცია. მიუხედავად ამისა, 1950-იანი წლებისთვის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, „მოსკოვის ცენტრის“ დაუნდობელი პოლიტიკის მეშვეობით დაამყარა და გააძლიერა ე.ე. „რეპლიკა რეჟიმები“ რომლებსაც ერთი და იგივე ინსტიტუციური და იდეოლოგიური მექანიზმები ახასიათებდა მთელ საბჭოთა ბლოკში (Jowitt 1992). თუმცა კომუნისტებმა უდავოდ შეითვისეს და გააძლიერეს მანამდე არსებული ისტორიული ტენდენციები, ოცდაათი წლის შემდეგ „ახალი ტიპის პარტიამ“ წარმატებით შეძლო შეექმნა „ახალი ტიპის საზოგადოება“.

კომპარატიული კომუნიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი და გამორჩეული მკვლევარი, კენ ჯოვითი (Ken Jowitt) დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ, როგორც თავად უწოდებს, „ლენინისტური“ რეჟიმების განმასხვავებელი ნიშანი იყო „ქარიზმატული იმპერსონალიზმის“ ცნება. ესეში, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა და შემდეგ ხელახლა დაიბეჭდა 1992 წელს, ჯოვითი ადასტურებს, რომ დასავლეთის ლიბერალური საზოგადოებების მსგავსად, კომუნისტური საზოგადოებები ეფუძნებოდა უპიროვნო ინსტიტუტებსა და ნორმებს, მაგრამ მათი ცენტრალური და განმსაზღვრელი მახასიათებელი კომუნისტური პარტიის არსებობა იყო, როგორც ყველა სოციალური ორგანიზაციის ფოკუსის და ბირთვისა, რომლის ავტორიტეტიც ტრანსცენდენტური, უდავო და ქარიზმატული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ავტორიტეტის ხარისხი განსხვავდებოდა კომუნისტური ბლოკის მასშტაბით და კომუნისტური მმართველობის ათწლეულების განმავლობაში ოდნავ შემცირდა კიდევ, კომუნისტური პარტიის ინსტიტუციური ქარიზმა კვლავ განმსაზღვრელ ნიშნად რჩებოდა, რომელიც გამოარჩევდა საბჭოთა ტიპის რეჟიმებს არადემოკრატიული მმართველობის სხვა ფორმებისგან.

ვალერი ბანსი (Valerie Bunce) (1999, 21-25) ასევე გვანვდის კომუნისტური გამოცდილების სხვადასხვა ელემენტის ძალიან საინტერესო სინთეზს, რომელსაც მოიხსენიებს, როგორც „ჰომოგენიზაციის უნარის მქონეს“ და აქცენტს ოთხ ცენტრალურ ფაქტორზე აკეთებს: 1) „მმართველი ელიტის იდეოლოგიური მისია“, 2) „ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური მონოპოლიის შექმნა ... , რომელიც კომუნისტური პარტიის ხელში იყო“, 3) „არა მხოლოდ პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმა, არამედ პარტიისა და სახელმწიფოსი“ და 4) „სახელმწიფოს განსაკუთრებული ინსტიტუციონალური შედენვადობის უნარი“. ამ თვისებებიდან ოთხივე არსებობდა კომუნისტურ სისტემაში მთელ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში, უფრო პლურალისტური იუგოსლავიის ნაწილობრივი გამოკლებით, და უფრო ნაკლებად – პოლონეთსა და უნგრეთში. ბანსის ელემენტებიდან თანამედროვე პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების გასაგებად ყველაზე მნიშვნელოვანია მეოთხე, რადგანაც ის პარტია-სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების ყველა ასპექტში სრული შედენვადობის, დაკვირვებისა და გაკონტროლების მცდელობას გულისხმობს. ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით, რომელიც ზოგადად უშვებს იმ დამოუკიდებელი სოციალური აქტივობების არსებობას, რომლებიც პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფოს (Linz and Stepan 1996), პარტიამ აღკვეთა „ნებისმიერი სახის ასოციაციური ცხოვრების, პოლიტიკური ორგანიზაციების ან სოციალური მოძრაობების არსებობა, რომელიც პარტია-სახელმწიფოს ინსტიტუციონალური ქსელისგან დამოუკიდებელი იქნებოდა. შედეგად, საზოგადოების მასები დამოუკიდებელი აღმოჩნდნენ პარტია-სახელმწიფოზე სამუშაო ადგილების, შემოსავლის, სამომხმარებლო საქონლის, განათლების, საცხოვრებელი ადგილის, ჯანდაცვის, სოციალური და გეოგრაფიული მობილობის თვალსაზრისით“ (Bunce 1999, 24).

კიდევ უფრო მეტი, პარტია რეალურად ცდილობდა, გამოედევნა და ჩაენაცვლებინა თავად დამოუკიდებელი სოციალური აქტივობის საჭიროება ორგანიზაციებისა და ჯგუფების მჭიდრო ინსტიტუციონალური ქსელის შექმნით, რომელთა წევრობა და მონაწილეობა სავალდებულო ან იძულებითი იყო. პარტია-სახელმწიფოს მხრიდან საზოგადო სივრცის ასეთი კონტროლისთვის თავის დაღწევა ძალიან ცოტა ადამიანს შეეძლო, რამდენადაც თითქმის ყველა ბავში უნდა განეწიანებულყო ოფიციალურ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში და თითქმის ყველა მომუშავე ზრდასრული ადამიანი მიეკუთვნებოდა ოფიციალურ პროფესიულ კავშირს და სხვა მასობრივ ორგანიზაციებს. ბანსი (1999, 28) ძალიან ცხადად აღგვიწერს კომუნისტი მოქალაქეების „საოცრად ერთგვაროვან გამოცდილებათა ნაკრებს“: „პარტია განსაზღვრავდა, თუ რის გაკეთება შეეძლოთ მოქალაქეებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ აქტივობაში ჩართულობის თვალსაზრისით. ამდენად, პარტია არა მხოლოდ ელიტის რეკრუტირებას, არჩევნებს, აქციებზე დასწრებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შინაარსს მართავდა, ის ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ფუნქციონირებდა, როგორც ერთადერთი დამსაქმებელი, მშრომელთა უფლებების ერთადერთი დამცველი (პარტიის მიერ კონტროლირებადი პროფკავშირების საშუალებით), წარმოების ნორმების ერთადერთი დამდგენი და დასვენების დროის ერთადერთი გამანაწილებელი (რამდენადაც დასასვენებელი კურორტების ერთადერთი მშენებელი და მომვლელი იყო). ამავე დროს, პარტია ანაწილებდა ყველა პროდუქტს და ადგენდა ფასებს. დაბოლოს, პარტია იყო (ზოგჯერ ორგანიზაციების მეშვეობით) საცხოვრებელი ადგილის, განათლების, ჯანდაცვისა და დასვენება-გართობის აქტივობების ერთადერთი დისტრიბუტორი“.

მოკლედ რომ ვთქვათ, კომუნისტური პარტია ესწრაფოდა, პრაქტიკულად დაკვირვებოდა და გაეკონტროლებინა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტი და სწორედ ეს ნიშან-თვისება გამოარჩევდა კომუნისტურ სხვა არადემოკრატიული ავტორიტარული რეჟიმებისგან. კომუნისტური გამოცდილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ცენტრალიზებული ეკონომიკური დაგეგმვის თავისებურ სოციალურ შედეგებს გულისხმობს. ქრონიკულად დეფიციტის მქონე ეკონომიკურ სისტემაში მხოლოდ ადამიანთა მცირე, პრივილეგირებულ ჯგუფს – როგორც

ნესი, კომუნისტური პარტიის ელიტის წევრებს, ვინც საყიდლებზე განსაკუთრებულ მაღაზიებში დადიოდა, სადაც დასავლური საქონლის სრული არჩევანი იყო, შეეძლო თავი აერიდებინათ გრძელი რიგებისთვის, ცუდი არჩევნისა და ხშირად ყოველდღიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობისთვის მარილიდან დაწყებული ტუალეტის ქაღალდით დამთავრებული. ასეთმა ეკონომიკურმა სიტუაციამ კომუნისტური პარტიის მხრიდან საზოგადოებრივი სფეროს კონტროლთან ერთად, ორმხრივად გამყარებულ კავშირში, დაავინროვა და ზოგჯერ ხელახლა ჩამოაყალიბა აზროვნებისა და მოქმედებების შესაძლებლობების დიაპაზონი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენადაც საზოგადოებრივი სფერო ასეთი პოლიტიზირებული, კონტროლირებადი იყო, ხოლო ღირებული საქონელი და მომსახურება – კავშირების ან დახმარების გარეშე რთულად მოსაპოვებელი, ადამიანებმა ადაპტაციური ქცევის საერთო მოდელები შეიმუშავეს. ამ სოციალური და ქცევითი მოდელების მთავარი მახასიათებელი იყო საზოგადო და პირადი სივრცეების გამიჯვნა (Shlapentokh 1989; Kharkhordin 1999). როგორც ჯოვიტი (1992, 287) წერს, როდესაც საკუთარ თითქმის ოცი წლის წინანდელ არგუმენტს ხელახლა აყალიბებს, „ლენინურმა გამოცდილებამ აღმოსავლეთ ევროპაში... გააძლიერა განსაკუთრებული განსხვავება და დიქტომიური ანტაგონიზმი ოფიციალურ და პირად სივრცეებს შორის“. ბანსი (1999, 30) დასძენს, რომ „ჰომოგენიზაციამ ასევე ხელი შეუწყო სოციალისტურ სისტემებში მყოფ ადამიანებს, საკუთარი თავები გაეყოთ, ერთის მხრივ, საზოგადო და კონფორმისტ და, მეორე მხრივ, პირად და უფრო მეამბოხე პიროვნებად. ამას აღმოსავლეთ გერმანიის გარემოში მოიხსენიებდნენ, როგორც „Nischengesellschaft“, ანუ „ნიშა საზოგადოებად.“ რამდენადაც საზოგადოებრივი სფერო სრულიად კონტროლდებოდა კომუნისტური პარტიის მიერ და მისი თანამდევი ორგანიზაციული აპარატის მიერ (მათ შორის საიდუმლო პოლიციის, პროფესიული კავშირების და ბევრი მასობრივი, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის), კომუნისტი მოქალაქეების უმრავლესობამ ფრთხილი დამოკიდებულება შეიმუშავა საზოგადო და ფორმალური აქტივობების მიმართ. შეგვიძლია გავისხენოთ ვაცლავ ჰაველის (1985, 27–29) ცნობილი მაგალითი ბოსტნეულის გამყიდვლის შესახებ, რომლსაც მაღაზიაში ეკიდა სლოგანი: „მსოფლიოს მშრომელებო, შეერთდით!“, იმის საჩვენებლად, რომ „მორჩილია და უფლება აქვს, მშვიდად იყოს“.

ამის საწინააღმდეგოდ, პირადი ურთიერთობები კიდევ უფრო ცოცხალი და აზრიანი გახდა, რამდენადაც ადამიანებს ღიად ლაპარაკი მხოლოდ მათ წინამე შეეძლოთ, ვისაც იცნობდნენ და ენდობოდნენ. ასევე, რამდენადაც დეფიციტის ეკონომიკაში კავშირებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, ადამიანები რაღაცეების მოგვარებას უფრო მეტად საკუთარი ოჯახის, მეგობრებისა და ნაცნობების საშუალებით ახერხებდნენ, ვიდრე ოფიციალური არხების გამოყენებით (Wheel 1986; Ledeneva 1998).

რომ შევაჯამოთ, კომუნისტურმა ინსტიტუციებმა, რომლებიც 1917 წლის შემდეგ დაარსდა საბჭოთა კავშირში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – აღმოსავლეთ ევროპაში, მოახერხა ხალხის განსხვავებული ჯგუფების ჰომოგენიზება და ხელახალი კონფიგურირება, თუმცა, ისე ვერა, როგორც თავდაპირველად აპირებდნენ. ამ დეფიციტის ეკონომიკისა და კომუნისტური პარტიის მიერ საზოგადოებრივი სფეროს დაუნდობელი კონტროლის შედეგი იყო ის, რომ მოქალაქეებმა მთელ კომუნისტურ ევროპაში ქცევის ადაპტაციური მექანიზმები განავითარეს, რომელიც პირად კავშირებზე იყო ორიენტირებული და რომელმაც მკვეთრი განსხვავება პირადსა და საზოგადო სივრცეებს შორის უფრო გააძლიერა.

3. კომუნიზმის სოციალური გეოგრაფიკა და მისი გავლენა კოსტკომუნისტურ სამოქალაქო საზოგადოებაზე

შესაძლოა ადამიანმა იფიქროს, რომ კომუნისტური სისტემისა და მისი მასობრივი ორგანიზაციების გაქრობა საზოგადოების ახალ, ნამდვილად მოხალისეობრივ და ავტონომიურ ორგანიზაციებში მონაწილეობის, ჩართულობის დიდ ნაკადს გამოიწვევდა. სწორედ ამას მოელოდა ბევრი ანალიტიკოსი, განსაკუთრებით კი შესანიშნავი, სპონტანური მობილიზაციის შემდეგ, რასაც კომუნიზმის დამხობა მოჰყვა 1989 და 1991 წლებში (იხ., მაგალითად, Di Palma 1991 და Rau 1991). მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ამ ახალმა შესაძლებლობებმა არ გამოიწვია მონაწილეობის ზრდა.

თანამედროვე პოსტკომუნისტურ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მონაწილეობის, ჩართულობის დაბალი დონის კარგად გაგება შესაძლებელია კომუნისტური გამოცდილების საერთო ელემენტების და ასევე იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც სისტემის კოლაფსის შემდეგ მოხდა. კერძოდ, პოსტკომუნისტურ ევროპაში საზოგადოების ფართო სპექტრისთვის საერთო სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1) კომუნისტური ორგანიზაციებისადმი უნდობლობის მემკვიდრეობა; 2) მეგობრების ქსელების კვლავ მყარად არსებობა; 3) პოსტკომუნისტური იმედგაცრუება. ერთად აღებული ეს სამი ფაქტორი გვეხმარება ავხსნათ რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ხანგრძლივი სისუსტე.

ა. ორგანიზაციებისადმი უნდობლობა

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, რომელიც კომუნიზმს ავტორიტარიზმისგან გამოარჩევდა, იყო ამ უკანასკნელის მიერ ავტონომიური პლურალიზმის ფართო-მასშტაბიანი რეპრესია. ავტორიტარული რეჟიმებისაგან განსხვავებით, რომლებიც ტოლერანტული იყო არასახელმწიფოებრივი აქტივობების მიმართ იქამდე, ვიდრე ისინი სახელმწიფო ან სამხედრო სფეროს არ უქმნიდა საფრთხეს, კომუნისტურმა რეჟიმმა სცადა, არა მხოლოდ გაენადგურებინა დამოუკიდებელი ჯგუფური აქტივობის ნებისმიერი ფორმა, არამედ ის ჩაანაცვლა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციების რთული სისტემით, სადაც მონაწილეობა ხშირად სავალდებულო იყო. შედეგად, სახელმწიფო-სოციალისტური საზოგადოებების ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ნიშან-თვისება იყო ცხადი გამიჯვნა ფორმალურ ინსტიტუციებსა და არაფორმალურ ქცევას შორის, რომელსაც ადამიანები საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში ავლენდნენ. ყოველი კომუნისტური ქვეყანა რთულად იყო ორგანიზებული ფორმალური ორგანიზაციების ქსელით, რომლებსაც თითქმის იგივე ინსტიტუციონალური ფორმა ჰქონდა. მათ შორის იყო ახალგაზრდული ჯგუფები, კომუნისტური პარტია, პროფკავშირები, კულტურული ფედერაციები, გლეხთა და მუშაკთა ჯგუფები, ქალთა ჯგუფები და ბევრი სხვა, ასევე ნაკლებად პოლიტიზირებული (მაგრამ მაინც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი) ჯგუფები და ორგანიზაციები, სპორტული და ნაწილები, წიგნის მოყვარულთა კლუბებით დამთავრებული. ადამიანთა უმრავლესობა რამდენიმე ორგანიზაციის წევრი იყო, მაგრამ თავად წევრობა ხშირად სავალდებულო, იძულებითი იყო, ან ინსტრუმენტული მიზნებისთვის გამოიყენებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, – კომუნისტური რეჟიმების სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, რამდენადაც პარტიამ დაკარგა ის ლეგიტიმურობა და პოპულარული ენთუზიაზმი, რომელიც ადრეულ საფეხურებზე ჰქონდა – ადამიანები ხშირად მხოლოდ იმიტომ წევრიანდებოდნენ, რომ იძულებული იყვნენ. მათ ეუბნებოდნენ, რომ თუ არ განეწვიანდებოდნენ, შესაძლოა, ნეგატიური შედეგების პირისპირ აღმოჩენილიყვნენ, ან განეწვიანება და მონაწილეობა მათ კარიერულ შანსებს გააუმჯობესებდა. მხოლოდ ნაკლებად პოლიტიზირებულ ასოციაციებს, როგორც იყო წიგნის მოყვარულთა და სპორტული კლუბები, უერთდებოდნენ ადამიანები ნაკლები იძულებისა და ინსტრუმენტული მიზნების გამო.

კვებისავალდებულო ორგანიზაციებში მონაწილეობისას ადამიანთა უმრავლესობა ძალიან ცოტა რამეს აკეთებდა იმის გარდა, რომ იხდიდა მცირე წლიური გადასახადს (რომელიც ჩვეულებრივ ავტომატურად იქვითებოდა ხელფასიდან), ესწრებოდა რამდენიმე სავალდებულო შეხვედრას და ხანდახან ზოგიერთ სპეციალურ სარგებელს იღებდა ოფიციალური პროფესიული კავშირისგან, მაგალითად, დასვენების საგზურს. წევრობა ძირითადად უფრო მეტად მოვალეობას, მორჩილებას და გარეგან შესაბამისობას ემყარებოდა, ვიდრე შინაგან სურვილსა და ნებაყოფლობით ინიციატივებს. კომუნისტურ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან მართულ ორგანიზაციებში მიღებული ამ არსებითად უარყოფითი გამოცდილების გამო, მოქალაქეთა უმრავლესობას მთელს პოსტკომუნისტურ ევროპაში დღესაც ჯერ კიდევ მსგავსი უნდობლობა აქვს ორგანიზაციების მიმართ.

როგორც კომუნისტური გამოცდილების პირდაპირ მემკვიდრეებს, ადამიანების უმრავლესობას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ აქვს უნდობლობა და თავს არიდებს ნებისმიერი სახის ფორმალურ ორგანიზაციებს, ახლად გათავისუფლებულ და დემოკრატიულ გარემოშიც კი. დღევანდელ ნებაყოფლობით ასოციაციებსა და კომუნისტური წარსულის მასობრივ ორგანიზაციებს შორის მკაფიო განსხვავების ხაზგასმის ნაცვლად, პოსტკომუნისტური სივრცის მოქალაქეთა უმეტესობა უწყვეტობის გარკვეული შეგრძნებით აღიქვამს და აფასებს ორგანიზაციებს. განსხვავება, რომელსაც ისინი ხედავენ, იმაში მდგომარეობს, რომ ადრე ძირითადად იძულებით ხდებოდა განწევრიანება, დღეს კი ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში, შეუძლიათ, არ განწევრიანდნენ და არ მიიღონ მონაწილეობა.

ბ. სამეგობრო ქსელების მდგრადობა

კომუნიზმის, სადაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებში წევრობა უფრო ფორმალურადაა იყო, მოვალეობისა და მიზანშეწონილობისგან წარმოქმნილი და არა შინაგანი მისწრაფებიდან, საზოგადოებრივი გამოცდილების მეორე, სანაზღაურებელი მხარეს პირად სივრცეში არსებული უაღრესად აზრიანი და ნამდვილი ურთიერთობები წარმოადგენდა. ზოგადად რომ ვთქვათ, ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობდა. პირველი, რადგანაც ფორმალური და საჯარო სივრცე ძალიან პოლიტიზირებული იყო და მკაცრად კონტროლდებოდა, ადამიანებს საკუთარი მოსაზრებების ღიად გამოხატვა მხოლოდ სანდო მეგობრების და ოჯახის წევრების ვიწრო წრეში შეეძლოთ. მეორე, შესაძენი საქონლის ნაკლებობის გამო პირადი და სოციალური კავშირები არსებით როლს თამაშობდა კომუნისტურ საზოგადოებებში, მანქანის შესაკეთებლად საჭირო ნაწილების ყიდვა იყო ეს, თუ იმ პროდუქტის შოვნა, რომელიც იშვიათად იყო ხელმისაწვდომი.

ეს ორი მიზეზი ასევე შეესაბამებოდა პირადი ქსელის ორ განსხვავებულ, თუმცა ხშირად ერთმანეთის გადაკვეთს, ტიპს, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებებში არსებობდა. პირველი მოიცავდა ადამიანების სოციალიზაციის სფეროს, იმათ, ვისთან ერთადაც ატარებდნენ თავისუფალ დროს, ხოლო მეორე კავშირების უფრო ინსტრუმენტულ გამოყენებას გულისხმობდა პროდუქტისა და სერვისების მისაღებად და ზოგადი წინსვლისთვის (Ledeneva 1998). ქსელის პირველი ტიპი ძირითადად შედგებოდა ახლო და სანდო მეგობრებისა და ოჯახის წევრების მცირე რაოდენობისგან, მაშინ როცა მეორე მოიცავდა ბევრ ნაცნობს ან ისეთ ხალხს, ვისთანაც ადამიანი მხოლოდ რაიმეს შესაძენად ან სანაცვლოდ რაიმეს მისაღებად ურთიერთობდა. ქსელის ეს ორი ტიპი ერთმანეთს კვეთდა იმ თვალსაზრისით, რომ მეგობრები და ოჯახის წევრებიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს ინსტრუმენტულად, მაგრამ ინსტრუმენტული ნაცნობები მხოლოდ იშვიათად შედიოდნენ ახლო მეგობრების პატარა და სანდო წრეში.

დღეს, იმ სისტემის დანგრევიდან დიდი ხნის შემდეგ, რომელმაც შექმნა და შეინარჩუნა ეს სიცოცხლისუნარიანი პირადი სფერო, ახლო მეგობრებისა და ოჯახის წევრების ქსელი კვლევ რჩება უაღრესად მნიშვნელოვანად და გამორჩეულად მთელს პოსტკომუნისტურ რეგიონში. ინსტრუმენტული კავშირების ქსელები კი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სხვადასხვანაირად შეიცვალა, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკას შეუძლია პროდუქტებისა და სერვისების არაფორმალური გზებით მოპოვების

საჭიროება მოსპოს. საერთო ჯამში, ბევრი დასავლური საზოგადოებისგან განსხვავებით, სადაც ნებაყოფლობითი ორგანიზაციები სოციალური და პოლიტიკური კულტურის მთავარ ნაწილად იქცა და სადაც ადამიანები ორგანიზაციებში ახალი ადამიანების გასაცნობად და საკუთარი თვალსაწიერის საზოგადოებრივი აქტივობებით გასაფართოებლად წევრიანდებიან, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ უკიდურესად მოცულია საკუთარ პირადი კავშირებით. ისინი უბრალოდ ვერ გრძნობენ საჭიროებას და ნაკლები სურვილი აქვთ, განწევრიანდნენ და მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციებში, როდესაც იციან, რომ სოციალურად ყველაფერი აქვთ, რაც შეიძლება სჭირდებოდეთ ან უნდოდეთ.

გ. პოსტკომუნისტური იმედგაცრუება

მესამე მიზეზი, რომელიც გვეხმარება ავხსნათ საზოგადოებრივი მონაწილეობის ძალიან დაბალი დონე პოსტკომუნისტურ ევროპაში, ფართოდ გავრცელებული იმედგაცრუებაა, ზოგისთვის გულგატეხილობაც კი, სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებით. მართალია, ეს უფრო მეტად ემჩნევათ იმ ადამიანებს, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ მოძრაობებში, რამაც ხელი შეუწყო ახალი ინსტიტუციური წესრიგის შექმნას, მაგრამ ეს ფაქტორი მოსახლეობის ფართო მასებსაც ასევე მიესადაგება. მთელ ყოფილ საბჭოთა ბლოკში ადამიანების უმრავლესობისთვის 1989-91 წლები მათი ცხოვრების განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს წარმოადგენს, როდესაც მათი სამყარო სწრაფად და დრამატულად იცვლებოდა. მართალია, ბევრი შიში და გაურკვევლობა არსებობდა იმის გარშემო, თუ სად მიიყვანდა მათ ეს ცვლილებები, ბევრმა ადამიანმა ნამდვილი აღტაცების, იმედისა და იდეალიზმის ხანმოკლე მომენტი განიცადა სწორედ იმ სწრაფი ტრანსფორმაციის პერიოდში. მეტიც, მათ სჯეროდათ, რომ კომუნისტური პარტიის მმართველობის დასასრული, ახალი დემოკრატიული და საბაზრო ინსტიტუტების შექმნა, დიდ ხანს მონყურებული თავისუფლება და უფლება, ესაუბრათ თავისუფლად, ღიად დაკავშირებოდნენ სხვებს და ემოგზაურათ „რკინის ფარდის“ მიღმა, უკეთესობისკენ შეცვლიდა მათ ცხოვრებას (Rose 1995).

თუმცა, ამ დრამატული დროის შემდგომ წლებში ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყნის მოქალაქე თვლიდა, რომ ახალმა სისტემამ, რომელმაც სწრაფად ჩაანაცვლა ძველი, მათ იმედი გაუცრუა და ალბათ, მოატყუა კიდევ. მართალია, ყოველ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში დიდ უმრავლესობას არ სურს დროში უკან დაბრუნება, მაგრამ მას შემდეგ აღმოცენებულმა პილიტიკურმა და ეკონომიკურმა სისტემებმა, როგორც ჩანს, იმედი გაუცრუა ადამიანთა უმრავლესობას, რომლებსაც იმედი ჰქონდათ და სჯეროდათ, რომ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა მათ იდეალებს გაამართლებდა. იმედგაცრუების ამ გრძნობამ მხოლოდ გაზარდა დემობილიზაცია და საჯარო აქტივობებიდან გამოთიშვა კომუნიზმის დანგრევის შემდგომ წლებში.

მართალია, ამ თავში წარმოდგენილი იყო პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების საკმაოდ ერთგვაროვანი სურათი, რეგიონში არსებობს დიდი, და ალბათ მზარდი, მრავალფეროვნება. გვერდზე რომ გავწიოთ ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნები, რომლებიც ვერ ერგება პოსტკომუნისტური ევროპის გეოგრაფიულ დეფინიციას, მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც კომუნიზმის დაცემის შემდეგ სტაბილურად ადგას დემოკრატიზაციის გზას და რომლებიც დემოკრატიას ეწინააღმდეგება (და ზოგ შემთხვევაში უფრო ცხადად ავტორიტარულიც კი გახდა) ბოლო დეკადის განმავლობაში. ამ განსხვავების გამყარება და ინსტრუმენტალიზაცია მოხდა ევროკავშირის (EU) გაფართოების პროცესში, რომელსაც ათი პოსტკომუნისტური ქვეყანა შეუერთდა 2004-2007 წლებში. ევროკავშირში შესვლა არ ყოფილია პანაცეა პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ამასთან, აშკარაა საჭიროება, აღინიშნოს იმ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდნენ და რომლებიც – არა, მიუხედავად ძლიერი საერთო კომუნისტური მემკვიდრეობის კვლავ არსებობისა მთელს რეგიონში.

დ. სამოქალაქო საზოგადოება არადემოკრატიულ კონტექსტში

სამოქალაქო საზოგადოების შედარებით კვლევაში მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც პოსტ-კომუნისტური რეჟიმების განხილვისას დაისმის, ასეთია: როგორც შედარებითი, ისე ისტორიული თვალსაზრისით, არსებობს თუ არა სამოქალაქო საზოგადოება (ან შეუძლია თუ არა არსებობდეს) არადემოკრატიულ და/ან არადასავლურ ქვეყნებში? ამ კითხვაზე პასუხის ბევრი შესაძლო ვარიანტი არსებობს, სამოქალაქო საზოგადოების ძალიან ვიწრო კონცეპტუალიზაციიდან დაწყებული, საკმაოდ ფართოთი დამთავრებული. ვიწრო ხედვა ვარაუდობს, რომ სამოქალაქო საზოგადოება გამომდინარეობს განსაკუთრებული თეორიული ტრადიციიდან და დასავლეთის პრაქტიკული ისტორიული გამოცდილებიდან. ამ პოზიციის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება აღნიშნავს ისეთი ტიპის მოხალისეობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოიშვა ამერიკული და დასავლურ ევროპული მოდელებისგან და გარკვეული თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მხოლოდ იმ საზოგადოებებში არსებობდეს, რომლებიც ამ ისტორიულ საფუძველს იზიარებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება დანახულია, როგორც არსებითად დასავლური ცნება, რომელიც აღმოცენდა განსაკუთრებული ისტორიული გამოცდილებიდან, რაც მას აშკარად ეთნოცენტრულ ტენდენციას სძენს.

ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების ფართო ხედვა – ისეთი, რომელსაც ძირითადად ანთროპოლოგები მიმართავენ – ამტკიცებს, რომ მისი კონცეპტუალიზაცია და გაზომვა უნდა გაფართოვდეს დემოკრატიებში მოხალისეობრივ ორგანიზაციებზე ვიწრო ფოკუსირებიდან. ის უნდა შეეხოს სოციალური ორგანიზაციების ყველა ფორმასა და პრაქტიკას, როგორც ერთი ძირითადი ფენომენის სხვადასხვა მანიფესტაციას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი სამოქალაქო საზოგადოება ჰყავს და ნებისმიერი საერთო ეროვნული ვარიაცია მდგომარეობს ფორმაში, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება იღებს და არა – მის დონესა და სიძლიერეში.

მესამე მიდგომა ამ ორ ხედვას შორის შუალედურ პოზიციას იკავებს. ამ ხედვის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება არ არის უნივერსალური ცნება, რომელიც ყველგან არსებობს, მაგრამ ის ბევრი სხვადასხვა სახით ფორმირდება. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების ორიგინალური დეფინიციისა და ემპირიული მანიფესტაციის განზავება და/ან გაფართოება არ უნდა მოხდეს მისი ძალიან განსხვავებული კონტექსტებისთვის მორგების მიზნით, რადგანაც ამან შეიძლება ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური აქტივობის ზოგიერთი ყველაზე საინტერესო და უნიკალური ფორმის არასწორი დახასიათება გამოიწვიოს, მათი „სამოქალაქო საზოგადოების“ ყალიბში ძალით ჩასმით. ამავე დროს, მართალია, პირველი და ვიწრო ხედვისგან განსხვავებით, ეს მიდგომა არ ზღუდავს შესაბამის ემპირიულ საზღვრებს იმ ქვეყნებით, რომლებიც კულტურულად ან ისტორიულად „დასავლურები“ არიან. სამოქალაქო საზოგადოების შესწავლის მყარი და პრაქტიკული საფუძველი არსებობს არადასავლურ ქვეყნებში, მაშინაც კი, როდესაც ის სპეციფიკურ დასავლურ ცნებად განიხილება, რადგანაც ამ საზოგადოებებიდან ბევრმა სცადა ვესტერნიზაცია და დემოკრატიზაცია ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, რეჟიმის ტიპი გადამწყვეტი განსხვავებაა და რასაც ჰქვია „კლასიკური“ სამოქალაქო საზოგადოება, შეიძლება რეალურად არსებობდეს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ დემოკრატიული ინსტიტუციები (მიუხედავად მათი „დასავლურობისა“). თუმცა, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ქვეყანა განვითარებული ლიბერალური დემოკრატია უნდა იყოს, რომ მასში სამოქალაქო საზოგადოება არსებობდეს, არამედ იმის, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ პროცედურული დემოკრატიის ძირითად მინიმალურ კრიტერიუმებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება კვლევითა და ანალიზისთვის ლეგიტიმური, შესაბამისი და მნიშვნელოვანი ობიექტია იმ ქვეყნებში, რომლებიც შეიძლება საარჩევნო დემოკრატიებად ჩაითვალოს. მაგრამ შესაძლოა სარისკო იყოს ამ ცნების

გაფართოება ამ საზღვრების მიღმა ავტორიტარული რეჟიმების სხვადასხვა ტიპებზე, იდეების ერთი უკვე შემოსაზღვრული ნაკრების ქვეშ ძალიან ბევრი სხვადასხვა ფენომენისა და ორგანიზაციის ფორმის დაუხარისხებლად თავმოყრის თვალსაზრისით.

ამ დასკვნას ცხად საწინააღმდეგო აზრამდე მივყავართ: რა ხდება აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით? მართალი არ არის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი შეუწყო კომუნიზმის დანგრევას? გარკვეული თვალსაზრისით პასუხი უნდა იყოს „დიახ“, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა (კერძოდ კი პოლონეთში) გამოიწვია თავად ტერმინ „სამოქალაქო საზოგადოების“ ხელახალი დაბადება და მისი ფართო პოპულარიზაცია. მაგრამ ამავდროულად, აღმოსავლეთ ევროპის მაგალითი ზუსტად გვიჩვენებს, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი განვსხვავებით სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიულ რეჟიმებში და სამოქალაქო საზოგადოება არადემოკრატიული რეჟიმების სხვა ტიპებში, რადგანაც რამდენიმე წელიწადში, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოსტკომუნისტური ევროპის ქვეყნები ტერმინის ნათლის როლიდან იმ ქვეყნებად იქცნენ, სადაც სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეების ყველაზე დაბალი დონეა მსოფლიოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვიანი 1980-იანი წლების ოპოზიციური სამოქალაქო საზოგადოება ცალსახად განსხვავდებოდა დღევანდელი დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოებისგან. ეს მნიშვნელოვანი სხვაობა გვაფიქრებინებს, რომ მკვლევრებმა თავი უნდა შეიკავონ სხვადასხვა სახის სამოქალაქო საზოგადოების ერთად თავმოყრის ცდუნებისგან, და სულ მცირე, უნდა იზრუნონ ქვეკატეგორიების შემუშავებაზე, რათა სხვადასხვა ტიპის ქვეყნებში მიმდინარე განსხვავებული დინამიკა აისახოს.

ეს დებატები არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება გადანყვეტილად. სამოქალაქო საზოგადოების შედარებითი კვლევის ზრდასა და გაფართოებასთან ერთად (იხ. მაგალითად Heinrich and Fioramonti 2007) და ბევრი მეცნიერის მიერ როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე დემოკრატიის გასაზომად ემპირიული მაჩვენებლების შემუშავებასთან ერთად, გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოების ცნების მისადაგება ქვეყნებისა და კონტექსტების ფართო სპექტრისთვის, რასაც ალბათ განსხვავებული შედეგები ექნება მათთვის, ვისთვისაც სისტემური და შინაარსიანი შედარებებია მნიშვნელოვანი.

5. დასკვნა: შედეგები კოსტკომუნისტური დემოკრატიისთვის

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მონაწილეობის მუდმივად დაბალი დონე, რომელიც აღინიშნება პოსტკომუნისტური ევროპის დიდ ნაწილში, რეგიონში დემოკრატიის პერსპექტივების შესახებ სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძლევა, ხშირად, ემოციურად დამუხტულსაც. ერთი მხრივ, ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან ჩართულობისა და მონაწილეობის ნაკლებობა შეიძლება განვიხილოთ როგორც პოსტკომუნისტური დემოკრატიის ცარიელი, პროცედურული და ფორმალური ხასიათის ინდიკატორი. ნიშნავს კი დემოკრატია „ხალხის მმართველობას“ იმ შემთხვევაში, თუ „ხალხი“ ირჩევს, არ მიიღოს მონაწილეობა „მართვაში“? შეიძლება ითქვას, რომ როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციებს არ აქვთ მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა, ასეთი ცარიელი დემოკრატია არადემოკრატიულ ისტორიულ ტრადიციებზე, თუ ახალ ანტიდემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, მონაწილედ გეგმიური და მხოვობის რისკის ქვეშ დარჩება.

მეორე მხრივ, უფრო ოპტიმისტური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზებდა, რომ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა წინააღმდეგობას არ უქმნის დემოკრატიას და დემოკრატიულ სტაბილურობას. მართლაც, პოლიტიკური მონაწილეობა და მთავრობის ნდობა, სავარაუდოდ, მსოფლიოს დიდ

ნაწილში ეცემა, რამდენადაც ადამიანების სულ უფრო მზარდი რაოდენობა ტოვებს საზოგადოებრივ აქტივობებს. ალბათ, პოსტკომუნისტური ანმყოფობა, რომელმაც გამოტოვა ან გვერდი აუარა აქტიური მონაწილეობითი დემოკრატიის „ეტაპს“, რეალურად დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიულ მომავალს წარმოადგენს. მეტიც, დემოკრატიული სტაბილურობის შესახებ ზოგი ამტკიცებს, რომ ძლიერ და მყარ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია რეალური წვლილი შეიტანოს დემოკრატიის განადგურებაში (Berman 1997). თუ ეს სიმართლეა, მაშინ პოსტკომუნისტურ ევროპაში დემოკრატია შესაძლოა რეალურად გაძლიერდეს მოხალისეობრივ ორგანიზაციებში მოქალაქეთა მონაწილეების არარსებობით.

პოსტკომუნისტური დემოკრატიის ჩემი საკუთარი ხედვა განსხვავდება ამ ორივე ინტერპრეტაციისგან. თუ მოხალისეობრივ ორგანიზაციებში მონაწილეობა უფრო ძველ დემოკრატიებშიც იკლებს, ეს არ ნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში ორგანიზაციული წევრობის დონეები საერთო ნიშნულამდე მიდის. რაც უფრო მნიშვნელოვანია, დემოკრატიის განადგურების ან გადარჩენის თვალსაზრისით, მე არ განვიხილავ პოსტკომუნისტურ დემოკრატიას, როგორც კოლაფსის ან მარცხისთვის განწირულს, და არც ის მჯერა, რომ სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე კარგი ნიშანია ჯანსაღი დემოკრატიის მომავლისთვის. ამის ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე წარმოადგენს პოსტკომუნისტური დემოკრატიის განმასხვავებელ ელემენტს, მოდელს, რომელიც მიუთითებს ხარისხობრივად განსხვავებულ ურთიერთობებზე მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის, და რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მთელ რეგიონში სულ მცირე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

ბიბლიოგრაფია

- Berman, S. 1997. "Civil Society and the Collapse of the Weimar Republic." *World Politics* vol. 49: 401–29.
- Bunce, V. 1999. *Subversive Institutions: The Design and the Destruction of Socialism and the State*. Cambridge: Cambridge University Press.
- Di Palma, G. 1991. "Legitimation from the Top to Civil Society: Politico-Cultural Change in Eastern Europe." *World Politics* vol. 44/3: 49–80.
- Havel, V. 1985. *The Power of the Powerless*. (ed. John Keane). Armonk, N.Y.: M.E. Sharpe.
- Heinrich, V. Finn, and L. Fioramonti (eds). 2007. *CIVICUS Global Survey of the State of Civil Society*. 2 vols. West Hartford, Conn.: Kumarian Press.
- Howard, M. M. 2003. *The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe*. New York: Cambridge University Press.
- Jowitt, K. 1992. *New World Disorder: The Leninist Extinction*. Berkeley: University of California Press.
- Kharkhordin, O. 1999. *The Collective and the Individual in Russia: A Study of Practices*. Berkeley: University of California Press.
- Ledeneva, A. V. 1998. *Russia's Economy of Favours: Blat, Networking, and Informal Exchange*. Cambridge: Cambridge University Press.
- Linz, J. J., and A. Stepan. 1996. *Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. Baltimore: Johns Hopkins University Press.
- Rau, Z. (ed). 1991. *The Reemergence of Civil Society in Eastern Europe and the Soviet Union*. Boulder: Westview Press.

- Rose, R. 1995. "Freedom as a Fundamental Value." *International Social Science Journal* vol. 145: 454–71.
- Shlapentokh, V. 1989. *Public and Private Life of the Soviet people: Changing Values in Post-Stalin Russia*. Oxford: Oxford University Press.
- Valkov, N. 2009. "Membership in Voluntary Organizations and Democratic Performance: European Post-Communist Countries in Comparative Perspective." *Communist and Post-Communist Studies* vol. 42: 1–21.
- Wedel, J. R. 1986. *The Private Poland*. New York: Facts on File.